საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ტექნიკური დავალება
CSR პროგრამის CSR სპეციალისტის პოზიციაზე

შესავალი

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (CSRDG) სამოქალაქო ორგანიზაციაა. ჩვენი მისიაა, საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

CSRDG 2004 წლიდან ახორციელებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების პროგრამას. პროგრამის მიზანია, ქვეყანაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის დამკვიდრების ხელშეწყობა, ასევე სხვადასხვა სექტორთა თანამშრომლობის განვითარება.

საქართველოში CSR-ის განვითარებისკენ მიმართული CSRDG-ის სტრატეგია გულისხმობს ბიზნეს კომპანიებთან აქტიურ მუშაობას, მათთვის ინფორმაციისა და ცოდნის მიწოდების, ცნობიერების ამაღლების და პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის სტიმულირების მიზნით, აგრეთვე სხვადასხვა სექტორთან მუშაობას - კერძოდ სამოქალაქო ორგანიზაციებთან, მედია საშუალებებთან, ხელისუფლების სტრუქტურებთან, უნივერსიტეტებთან, ახალგაზრდებთან - CSR-ის კონცეფციის პოპულარიზაციისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბების მიზნით.

2021 წლიდან CSRDG რამდენიმე სხვა ორგანიზაციასთან ერთობლივად ახორციელებს პროექტს **„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“*, რომელიც მიმდინარეობს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი მიზნად ისახავს, გაამლიეროს სამოქალაქო საზოგადოება როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორი მთელი საქართველოს მასშტაბით. პროექტის ხანგრძლივობაა 4 წელი.

პროექტს სამი კონკრეტული ამოცანა აქვს:

1. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური გარემოს გაუმჯობესება, მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსების გამჭვირვალობა და არასახელმწიფო დაფინანსების გამრავალფეროვნება, ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის პოპულარიზაცია.

2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მათ სამიზნე აუდიტორიას შორის კავშირების გამყარება, მათ შორის, სამოქალაქო ღირებულებების პოპულარიზაცია, საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული საქმიანობის წახალისება.

3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება და სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციური გაძლიერება ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით ზედამხედველობისა და ადვოკატირების თვალსაზრისით.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

"სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა" ემყარება ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" (CSSIGE 2017-2020) განხორციელების პროცესში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

CSR-ისა და სექტორთაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობა პროექტის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს. ეს ამოცანა გულისხმობს ბიზნესის სექტორში CSR-ის კულტურისა და პასუხისმგებლიანი ქცევის ნორმების დამკვიდრების ხელშეწყობას, მთავრობის, მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლებას CSR-თან დაკავშირებულ საკითხებზე, სექტორთაშორისი თანამშრომლობის წახალისებას და CSR-ის ხელშემწყობი პოლიტიკური თუ ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბებას.

ტექნიკური დავალების მიზანი

CSRDG-ის მიმდინარე CSR პროგრამისა და „სამოქალაქო საზოგადოების STAR ინიციატივის („სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“) პირველი ამოცანის ფარგლებში, საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისკენ მიმართული საქმიანობების ეფექტური განხორციელება.

სამუშაოს აღწერილობა, კონკრეტული მოვალეობები და პასუხისმგებლობები

CSR-ის პროგრამის CSR **სპეციალისტის** უშუალო პასუხისმგებლობაა CSR-ის წამყვანი ექსპერტის თემატური ხელმძღვანელობით შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

- პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან და პარტნიორებთან კომუნიკაცია, ახალი პარტნიორების გამოვლენა და მოზიდვა, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ორგანიზება
- ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების საკონსულტაციო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებაში მონაწილეობა (სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, მხარეებთან კომუნიკაცია, შეხვედრებისთვის მასალების მომზადება და ა.შ.);
- მცირე და საშუალო კომპანიებთან შეხვედრების ორგანიზება CSR ცნობიერების ამაღლების მიზნით
- CSR ტრენინგებისა და მასტერკლლასების ორგანიზების პროცესში ჩართულობა
- CSR საინფორმაციო ჰაბის (https://csrgeorgia.com) ონლაინ რესურსების მონიტორინგი და განახლება, სიახლეების მომზადება და განთავსება
- საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის Meliora მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობა (კომპანიებთან კომუნიკაცია, მასალების მომზადება და დამუშავება, შეხვედრების და კონსულტაციების ორგანიზება/ჩატარება, დაჯილდოების ღონისძიების ორგანიზებაში მონაწილეობა)
- საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის **Meliora**-ს მონაწილე კომპანიებისათვის ჟიურის უკუკავშირის დამუშავება და მიწოდება
- საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის **Meliora-ს** მონაწილე კომპანიების კმაყოფილების შეფასების ჩატარება
- საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის **Meliora-ს ვებგვერდისთვის** (https://meliora.ge/ka) მასალების მომზადება და ინფორმაციის განახლება

- CSR-ის საკითხებთან დაკავშირებული საგრანტო მედია კონკურსის შემუშავება-ჩატარებაში მონაწილეობა
- საჭიროებისამებრ, მასალების თარგმნა ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად
- საჭიროებისამებრ, CSR პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სხვა საქმიანობებში ჩართვა
- განხორციელებული საქმიანოებების პერიოდული (თვიური) ანგარიშების მომზადება.

ძირითადი მოთხოვნები:

<u>განათლება</u>*:* მაგისტრის წოდება სოციალურ ან მომიჯნავე მეცნიერებებში;

<u>ცოდნა-გამოცდილება და უნარები</u>*:*

- CSR სფეროში მუშაობის მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება;
- კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობისა და მდგრადი განვითარების საკითხების ცოდნა;
- საორგანიზაციო საქმიანობის, შეხვედრებისა და მასშტაბური ღონისძიებების მოწყობის გამოცდილება;
- ბიზნეს კომპანებთან მუშაობის გამოცდილება მნიშვნელოვან უპირატესობად ჩაითვლება;
- ინგლისურის კარგი ცოდნა (წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია);
- გამართული წერის უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- გუნდში მუშაობის გამოცდილება;
- მრავალმხრივი ამოცანების გადაჭრის უნარი;
- დროის მართვის უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

ტექნიკური დავალების ხანგრძლივობა

შერჩეულ კანდიდატთან გაფორმდება ხელშეკრულება 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

წარსადგენი დოკუმენტები:

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ:

ა) CV ინგლისურ ენაზე თანდართული ფორმატის მიხედვით;

ბ) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა: **11 აგვისტო, 2023 წ.**

საკონტაქტო პირი: მაკა ასამბაძე maka.asambadze@csrdg.ge

საბუთები გამოაგზავნეთ მითითებულ მეილზე.